

სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შედგენის რეკომენდაციები

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

1. სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) შედგენილი უნდა იყოს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დადგენილი ფორმით.
2. სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) ავტორს უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები.
3. სილაბუსის მომზადების პროცესს კოორდინირებას უწევენ:
 - ა) ფაკულტეტის დონეზე - დეკანატი, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
 - ბ) საუნივერსიტეტო დონეზე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სწავლების დეპარტამენტი.
4. სასწავლო კურსი (საგანი) არის ერთსემესტრიანი.

მუხლი 2. სასწავლო კურსის სახელწოდება

სასწავლო კურსის სახელწოდება უნდა დაიწეროს შემოკლებების გარეშე და შეესაბამებოდეს მის შინაარსს. სახელწოდება მოცემული უნდა იყოს როგორც ქართულ, ასევე, ინგლისურ ენებზე.

მუხლი 3. სასწავლო კურსის კოდი

1. კოდის მინიჭება ხდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად (<http://gtu.ge/quality/axali/sagniskodi.pdf>). საგნის კოდი შედგება შვიდი ძირითადი და, აგრეთვე, რამდენიმე დამატებითი თანრიგისგან, რომლებიც ძირითადი ნაწილისგან გამოიყოფა ტირეთი. დამატებითი თანრიგები აღნიშნავენ სწავლების ფორმას და არის ლათინური ანბანის ასო (L - ლექცია, S - სემინარი, P - პრაქტიკული, B - ლაბორატორიული, K - საკურსო სამუშაო/პროექტი, R - პრაქტიკა). იგი ჩვეულებრივ არ ჩანს და გამოიყენება მხოლოდ სპეციალურ პროცედურებში (მაგალითად, მეცადინეობების ცხრილების ავტომატური შედგენის დროს). შემდგომში გამოიყენება კოდის მხოლოდ ძირითადი ნაწილი.
2. კოდის ძირითადი ნაწილის პირველი ხუთი თანრიგი (მარცხნიდან) წარმოადგენს საგნის აბრევიატურას ინგლისურ ენაზე დასახელების მიხედვით. მათგან პირველი სამი თანრიგი არის ლათინური ანბანის ასო, ხოლო მეოთხე და მეხუთე შეიძლება იყოს როგორც ასო, ასევე ციფრი. მეექვსე და მეშვიდე თანრიგები აღნიშნავენ იმ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (მაგალითად, ფაკულტეტის) რიგით ნომერს უნივერსიტეტში მიღებული რიგითობის შესაბამისად, სადაც მომზადდა ამ საგნის სილაბუსი. იმ შემთხვევაში, თუ სწავლების ენა ქართულისგან განსხვავებულია, მეექვსე თანრიგში ციფრი "0"-ის ნაცვლად ჩაიწერება სწავლების შესაბამისი ენის კოდი (E - ინგლისური, R - რუსული).
3. სასწავლო კურსს (საგანს) კოდს ანიჭებს ავტორი და ამოწმებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

1. ჩაიწერება იმ საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომლის სასწავლო გეგმაშიც არის აღნიშნული კურსი. სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული პროგრამის დასახელება უნდა ემთხვეოდეს იმ პროგრამის დასახელებას რომელსაც იგი ერთვის.
2. თუ სასწავლო კურსი არის ბაკალავრიატის დამატებითი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში, საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების შემდეგ ფრჩხილებში უნდა მიეთითოს სიტყვა "დამატებითი".
3. ერთი და იგივე შინაარსისა და მოცულობის საგანი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტისათვის მოიცავს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს.

მუხლი 5. ავტორი

1. სამუშაო ადგილის გრაფაში იწერება ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსის მისამართი და სხვა კოორდინატები, სადაც შესაძლებელია ავტორთან დაკავშირება. ეს ეხება მოწვეულ პროფესორსაც.

2. თანამდებობის გრაფაში იწერება სილაბუსის ავტორის/ავტორების თანამდებობა.
3. აუცილებელია ცხრილში მოცემული ყველა პუნქტის შევსება, მათ შორის საკონტაქტო ტელეფონებისა და ელექტრონული მისამართის (gtu.ge) მითითება.

მუხლი 6. სასწავლო კურსის მიზანი

სასწავლო კურსის მიზანი ჩამოყალიბებული უნდა იყოს მოკლედ, ლაკონურად და გასაგებად, უნდა იყოს მიღწევადი და შეიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა მიზანს ისახავს ეს პროგრამა და არა იმის შესახებ თუ რა ეცოდინება სტუდენტს ამ კურსის დასრულების შემდეგ.

მუხლი 7. კრედიტების რაოდენობა

მიეთითება სასწავლო კურსის კრედიტების სრული მოცულობა.

მუხლი 8. საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (კვირა/სემესტრი)

ამ პუნქტში მოცემული უნდა იყოს საათების რაოდენობა სტუდენტის დატვირთვის (სტუდენტის სასწავლო საქმიანობის) შესაბამისად. თითოეული ჩანაწერი კეთდება სასწავლო კვირისა და სემესტრის მიხედვით. მაგალითად, ლექციის გასწვრივ მოცემული ჩანაწერი "1/15" ნიშნავს, რომ აღნიშნულ კურსში გათვალისწინებულია კვირაში 1 ლექცია, ხოლო სემესტრში - 15. ისეთი კომპონენტებისათვის, როგორცაა, მაგალითად, პრაქტიკა ან დამოუკიდებელი სამუშაო, შეუძლებელია დატვირთვის განსაზღვრა თითოეული კვირის მიხედვით. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, უნდა მიეთითოს მხოლოდ საათების ჯამური რაოდენობა. მაგალითად, "-/60", რაც ნიშნავს, რომ აღნიშნული კომპონენტის შესაბამისი ჯამური (სემესტრული) დატვირთვა არის 60 საათი, ხოლო მისი თანაბარი განაწილება კვირების მიხედვით ვერ ხერხდება. სტუდენტის სრული დატვირთვა შესაბამისობაში უნდა იყოს სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობასთან. სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის მოცულობა, როგორც წესი, უნდა იყოს სრული საათობრივი დატვირთვის 50-70 პროცენტის ფარგლებში.

მუხლი 9. დაშვების წინაპირობები

1. დაშვების წინაპირობები ჩაიწერება არსებობის შემთხვევაში. დაშვების წინაპირობების განსაზღვრის მიზანია პირის კომპეტენტურობის წინასწარი იდენტიფიცირება, რათა შესაძლებელი იყოს სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.
2. დასაშვებია სასწავლო კურსის შეთავაზება უცხოურ ენაზე. მისი გავლის წინაპირობად აუცილებელია შესაბამისი უცხოური ენის ფლობა და ძირითადი ლიტერატურის მითითება ამ ენაზე. სასწავლო კურსის უცხოურ ენაზე შეთავაზების შემთხვევაში პროგრამა უნდა შედგეს ორ ენაზე - ქართულ და შესაბამის უცხოურ ენაზე.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული პირობები წინაპირობად უნდა იყოს მითითებული როგორც ამ სასწავლო კურსში, ასევე, იმ საგანმანათლებლო პროგრამასა და მოდულში, სადაც ეს სასწავლო კურსი აუცილებელ კომპონენტად არის წარმოდგენილი.

მუხლი 10. სწავლის შედეგები

1. სწავლის შედეგები ნათლად და გასაგებად უნდა ასახავდეს თუ რა ეცოდინება სტუდენტს ამ კურსის დასრულების შემდეგ, რას შეძლებს სტუდენტი.
2. აქვე უნდა მიეთითოს მხოლოდ ის ზოგადი და დარგობრივი კომპეტენტურობები, რომელთა გამომუშავებასაც უზრუნველყოფს ეს სასწავლო კურსი და იგი გათვალისწინებულია შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაში.

მუხლი 11. შინაარსი

ამ პუნქტში მოცემული ცხრილებიდან შეივსება მხოლოდ სტუდენტის დატვირთვის შესაბამისი ცხრილები. გამოუყენებული ცხრილები უნდა ამოიშალოს. ცხრილების შევსების წესი შემდეგია:

- ა) **ლექცია** – ყოველკვირეულად უნდა იყოს მითითებული როგორც სალექციო თემის დასახელება, ასევე თითოეული მათგანის მოკლე შინაარსი. ჩამონათვალი აუცილებლად უნდა შედგებოდეს 15 თემისაგან და ცალ-ცალკე იყოს გაწერილი;

- ბ) **სემინარი** – ყოველკვირეულად უნდა იყოს მითითებული როგორც სემინარის თემის დასახელება, ასევე თითოეული მათგანის მოკლე აღწერილობა. აუცილებლად უნდა შედგებოდეს 15 თემისაგან და თითოეული ცალ-ცალკე იყოს გაწერილი;
- გ) **პრაქტიკული** – ყოველკვირეულად უნდა იყოს მითითებული როგორც პრაქტიკული თემის დასახელება, ასევე თითოეული მათგანის მოკლე შინაარსი. აუცილებლად უნდა შედგებოდეს 15 თემისაგან და ცალ-ცალკე იყოს გაწერილი. არ შეიძლება მათი დასახელებები იყოს სალექციო თემების იდენტური;
- დ) **ლაბორატორიული** – ყოველკვირეულად უნდა იყოს მითითებული, როგორც ლაბორატორიული თემის დასახელება, ასევე თითოეული მათგანის მოკლე შინაარსი. აუცილებლად უნდა შედგებოდეს 15 თემისაგან. არ შეიძლება მათი დასახელებები იყოს სალექციო თემების იდენტური;
- ე) **საკურსო სამუშაო/პროექტი** – გაწერილი უნდა იყოს 15 მეცადინეობად/საკითხად, ნათლად და თანმიმდევრულად უნდა გაიწეროს მისი შესრულების ეტაპები;
- ვ) **პრაქტიკა** – პრაქტიკის საკითხები გაწერილი უნდა იყოს რაც შეიძლება ნათლად, გარკვევით და კონკრეტულად. არ არის აუცილებელი გაწერილი იყოს 15 საკითხად.

მუხლი 12. სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

1. ამ პუნქტში აღინიშნება პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი სწავლების ფორმები სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (მუხლი 8).
2. აქვე ჩაიწერება პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი სწავლების მეთოდები. სწავლის შედეგების მიღწევის ფორმებისა და მეთოდების განმარტებები თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე <http://www.gtu.ge/quality/pdf/sc.pdf>

მუხლი 13. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

1. ამ პუნქტში აღინიშნება პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა, ფორმები და მეთოდები.
2. შეფასების ფორმები, ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე <http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf>.
3. მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების შეფასების განსხვავებული წესები მოცემულია ცალკე დოკუმენტებში http://gtu.ge/study/scavleba/samag_Sefas.pdf; http://gtu.ge/study/scavleba/sadoqt_Sefas.pdf.

მუხლი 14. ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა

1. ძირითად ლიტერატურაში მითითებული უნდა იყოს მხოლოდ იმ ენაზე შესრულებული წყაროები, რომელზეც ხორციელდება სწავლება. უცხოურენოვანი წყაროები შესაძლებელია მიეთითოს მხოლოდ დამხმარე ლიტერატურაში.
2. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს შესაბამისი ლიტერატურა იმ ენაზე, რომელზეც ხორციელდება სწავლება, აუცილებელია მომზადდეს ლექციების კურსი, რომლის ელექტრონული ვერსია უნდა იყოს უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. სასურველია აგრეთვე, იყოს ნაბეჭდი ვერსიაც.
3. თითოეული მითითებული წყარო თავისუფლად ხელმისაწვდომი უნდა იყოს, აღნიშნული უნდა იყოს მისი ფორმა (მაგალითად, ელექტრონული და სხვ.) და ძირითადი ლიტერატურის წყაროების მოძიების რეკვიზიტები (მაგალითად, ბიბლიოთეკის შიფრი).
4. ყველა წყარო დანომრული უნდა იყოს გამჭოლი ნუმერაციით. დამხმარე ლიტერატურაში მითითებული წყაროების ნუმერაცია გააგრძელებს ძირითადი ლიტერატურის წყაროების ნუმერაციას (მაგალითად, თუ ძირითად ლიტერატურაში მითითებული გვაქვს 3 წყარო, დამხმარე ლიტერატურის პირველ წყაროს ექნება ნომერი 4 და ა. შ.). ასეთ შემთხვევაში ნომრის მიხედვით გასაგები იქნება წყარო ძირითად ლიტერატურას ეკუთვნის თუ დამხმარეს.
5. ლიტერატურა მითითებული უნდა იყოს დადგენილი წესის შესაბამისად (მაგალითად, მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქციაში).

მუხლი 15. სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) დამტკიცება

1. სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) დამტკიცება ხდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად (2011 წლის 27 აპრილის № 437 დადგენილება).
2. პროგრამას ხელს აწერენ ავტორი (შემდგენელი) და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რომლებიც თავისი ხელმოწერით ადასტურებენ, რომ პროგრამა შედგენილია მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფილია სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით.
3. სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) მიღება ხდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, სადაც მუშაობს სილაბუსის ავტორი. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამას და, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, გადასცემს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შესათანხმებლად.
4. სილაბუსი ძალაში შედის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმების თარიღიდან.
5. შეთანხმებული სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი), საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, თან ერთვის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამას.
6. სილაბუსის ორი ეგზემპლარის მომზადებას, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, უზრუნველყოფს ავტორი.
7. საგანმანათლებლო პროგრამაზე თანდართულ სილაბუსს ხელს აწერს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც თავისი ხელმოწერით ადასტურებს, რომ სილაბუსი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს.